




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელემენტთა პერიოდული სისტემა



center ელემენტთა
პერიოდული სისტემა.

ელემენტთა პერიოდული სისტემა დ. მ ე ნ დ ე ლ ე ე ვ ი ს ა, ქიმიური ელემენტების კლასიფიკაცია - დ. მენდელეევის პერიოდულობის კანონის გრაფიკული გამოსახულება. ქიმ. ელემენტების სისტემატიზაციის ცდები (მსგავსი ქიმ. თვისებების მიხედვით) ჯერ კიდევ XIX ს. 30-იან წლებიდან დაიწყო. 1864 დ. მაიერმა ატომურ მასათა მონაცემების საფუძველზე შეადგინა ტაბულა, რ-შიც აჩვენა ელემენტთა რამდენიმე ჰგუფის ატომური მასებისა და თვისებების ურთიერთშესაბამისობა, მაგრამ ზოგადი თეორ. დასკვნა მას

არ გაუკეთებია. დ. მენდელეევის შეფასებით, ე. პ. ს-ის განმტკიცებას ხელი შეუწყო პ. მელიქიშვილისა და მისი მოწაფის ლ. პისარევსკის შრომებმა. 2012 წლის მონაცემებით, ე. პ. ს. მოიცავს 118 ქიმ. ელემენტს. მისი წინამორბედი იყო დ. მენდელეევის მიერ 1869 შედგენილი ცხრილი, რ-იც მეცნიერმა შემდგომი ორი წლის მანძილზე სრულყო - ელემენტები დაყო მწკრივებად, პერიოდებად, ჰგუფებად და უწოდა ელემენტთა პერიოდული სისტემა. ე. პ. ს-ში ქიმ. ელემენტები დალაგებულია ატომური ნომრის (და არა ატომური მასის) მიხედვით, რაც ბუნებრივად აისანება ატომის აგებულებაზე არსებული თანამედროვე შეხედულებებით: ატომური ნომერი ე. პ. ს-ში აჩვენებს ატომის ბირთვში პროტონების რაოდენობას და, შესაბამისად, ელექტრონების რაოდენობას ნეიტრალური ატომის ელექტრონულ გარსში, რაც განაპირობებს ელემენტის ქიმ. თვისებებს. თანამედროვე ე. პ. ს-ში ერთი ქიმ. ელემენტის სახით გაერთიანებულია იზოტოპები, რ-ებიც განსხვავდება ერთმანეთისგან ატომის ბირთვში ნეიტრონების რაოდენობით და, ელექტრონულ გარსში ელექტრონთა ერთნაირი რაოდენობის მიუხედავად, აქვს განსხვავებული ატომური მასა.

ქიმიურ ელემენტთა ქართული სახელწოდებები

1 H - წყალბადი

6 C - ნახშირბადი

8 O - ჟანგბადი

14 Si - კაჟბადი, სინონიმი – სილიციუმი

16 S - გოგირდი

26 Fe - რკინა

29 Cu - სპილენძი

30 Zn - თუთია

33 As - დარიშხანა

47 Ag - ვერცხლი

50 Sn - კალა

79 Au - ოქრო

80 Hg - ვერცხლისწყალი, სინონიმი – სინდიფი

82 Pb - ტყვია

დანარჩენი ელემენტების ქართული დასახელება ეფუძნება საერთაშორისო
სახელწოდებებს.
